სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება #68

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	სამტრედიის „ფენიქსი“ - ბათუმის „ტორნადო“		
გუნდი	ბათუმის „ტორნადო“	შეჯიბრი	რეგიონალური ლიგა
მატჩის თარიღი	25/04/2025	მატჩის ადგილი	სამტრედია
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი		დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	ბათუმის „ტორნადო“		
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	მატჩის მსაჯი - გიგა სხილაძე;	დარღვევა	☐ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - დანართი #3: ფიქსირებული სანქციები, 1. სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მიერ წინასწარ დანიშნულ მატჩში მონაწილე, რომელიმე და/ან ორივე, გუნდის თამაშზე არ გამოცხადება საპატიო მიზეზ(ებ)ის გარეშე და/ან სრკ-ს საშეჯიბრო დებულების 7.1 (მატჩზე 12-ზე ნაკლები მოთამაშით გამოცხადება) პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევა.	☐ წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ : მატჩის მეთვალყურის, გიგა სხილაძის საჩივარი	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	29/04/2025	**განხილვის ადგილი**	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია		
დამრღვევის დასწრება	☐ **კი (დისტანციური)** ☐ **არა**	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის გიგა სხილაძის - მატჩის ოფიციალურ პირთა საჩივარი;		

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის გიგა სხილაძის საჩივარი (ციტირება) - მოედანზე გამოვცხადდით დროულად ყველაფერი მზად იყო მატჩის დასაწყებად თუმცა სტუმარი გუნდი ბათუმის ტორნადო არ გამოცხადდა მოედანზე.

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

ბათუმის „ტორნადო“-ს წერილი 23.04.2025 (ციტირება) - მოგახსენებთ რომ სამტრედიის „ფენიქს“-თან რეგიონ ლიგის კალენდრით განსაზღვრული თამაში ჩაინიშნა პარასკევს. ჩვენი კლუბი სრულიად სამოყვარულოა და რადგან პარასკევი დღე ემთხვევა სამუშაო დღეს, ვერ ვახერხებთ თამაშზე გამოცხადებას. გთხოვთ გაითვალისწინოთ და მიიღოთ შესაბამისი ზომები.

ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა

1. 25/04/2025 სრკ-ს საშეჯიბრო სამსახურის მიერ დანიშნული იყო რეგიონალური ლიგის მატჩი სამტრედიის „ფენიქსი“-სა და ბათუმის „ტორნადო“-ს შორის.
2. მატჩის მსაჯის გიგა სხილაძის საჩივარის მიხედვით - მატჩი არ შედგა ბათუმის „ტორნადო“-ს თამაშზე არ გამოცხადების გამო.
3. ბათუმის „ტორნადო“-მ მხარემ ვერ წარმოადგინა თამაშზე არ გამოცხადების საპატიო მიზეზ(ებ)ი.

მსჯელობა

სადისცპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების განხილვის და მსჯელობის შემდეგ დადგენილად ცნო ბათუმის „ტორნადო“-ს მიერ სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - დანართი #3-ს ფიქსირებული სანქციები: 1-ლი პუნქტის დარღვევა და მიიღო

გადაწყვეტილება

1. ბათუმის „ტორნადო“-ს ჩაეთვალოს წაგება, დააკლდეს 3(სამი) საცხრილო ქულა რეგიონალური ლიგის საშეჯიბრო ცხრილში და დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით.
2. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7(შვიდი) კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში ბათუმის „ტორნადო“-ს რეგიონალური ლიგის საშეჯიბრო ცხრილში დამატებით დააკლდება 2(ორი) საცხრილო ქულა.
3. სამტრედიის „ფენიქსს“ ჩაეთვალოს ბონუსქულიანი მოგება და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0 მის სასარგებლოდ.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	29/04/2025

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.**